წერილის ნომერი:**31-31263062**
თარიღი: **02/11/2026**

ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, კარლო წილოსანის, მოსახლეობასთან შეხვედრისა და 2025 წლის 30 ოქტომბრიდან დღეის მდგომარეობით გაწეული საქმიანობის ანგარიში

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

სოფელი, თემი, დაბა: მაჩხვარეთის ადმინისტრაციული ერთეული

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 28. 10. 2026 წელი 13:00 საათი

შეხვედრას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკრებულოს წევრი კარლო წილოსანი, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს ხელმძღვანელი) ნიკოლოზ კოზანაშვილი, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში) ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ცირა ბზეკალავა და მაჩხვარეთის ადგილობრივი მოსახლეობა. საკრებულოს წევრი კარლო წილოსანი დამსწრე საზოგადოებას მიესალმა და მადლობა გადაუხადა შეხვედრაზე დასწრებისთვის. მან აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი, რომელიც საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენას ითვალისწინებს.

საკრებულოს წევრმა საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ საქმიანობაზე საუბრისას აღნიშნა, რომ მაჩხვარეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მოწესრიგდა გარე განათებები, ორაგვის რამდენიმე მონაკვეთზე მოეწყო რკინა-ბეტონის საფარი. მან ყურადღება გაამახვილა საგზაო ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი მოწესრიგების აუცილებლობაზე და აღნიშნა, რომ რამდენიმე ქუჩაზე დაგეგმილია სანიაღვრე არხების მოწყობა და ანაფრეზის დაყრა.

მომდევნო საანგარიშო პერიოდის პრიორიტეტებზე საუბრისას კარლო წილოსანმა ყურადღება გაამახვილა შემდეგ მიმართულებებზე:

- საგზაო და სხვა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- წყალმომარაგებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება;
- მოსახლეობის საჭიროებების დროული შესწავლა და პრობლემების გადასაჭრელად შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობა.

ანგარიშის წარდგენის შემდეგ დეპუტატმა ადგილობრივ მოსახლეობას მიმართა და

მოუწოდა, მიეწოდებინათ ინფორმაცია ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული პრობლემებისა და საჭიროებების შესახებ.

მაჩხვარეთის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობამ ძირითად პრობლემებად დაასახელა:

- მაჩხვარეთის ცენტრალური გზის საფარის მოწესრიგება;
- კვირკველიების უბანში, სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მოწესრიგება;
- წმინდა გიორგის მესამე ჩიხის გზის მოწესრიგება;
- საძოვრებისა და საყანე ფართობების შემოღობვის საჭიროება.

შეხვედრის დასასრულს საკრებულოს წევრმა კარლო წილოსანმა მადლობა გადაუხადა მაჩხვარეთის ადმინისტრაციული ერთეულის მცხოვრებლებს აქტიური ჩართულობისთვის და გამოთქვა მზადყოფნა სამომავლო თანამშრომლობისთვის.

კარლო წილოსანი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს წევრი